



IOM International Organization for Migration

სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში ხელშეწყობის პროგრამა

### ვინ ვართ ჩვენ?

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) არის მთავრობათაშორისი ორგანიზაცია. ჩვენი სათავე ოფისი მდებარეობს ჟენევაში, შვეიცარიაში. ჩვენ ოფისები გვაქვს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ჰუმანურ და ორგანიზებულ მიგრაციას სარგებელი მოქვს მიგრანტებისა და საზოგადოებისათვის.

### სამშობლოზე ფიქრობთ?

შეგვიძლია დაგეხმაროთ დაბრუნებაში.


# www.iomdublin.org

### ორგანიზაციას

დაგვიკავშირდით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

დუბლინი 1, ჰილის ქ. #7 (7 Hill Street, Dublin 1)

ტელ: 01 87 87 900  
ფაქსი: 01 87 87 901  
ელ-ფოსტა: iomdublin@iom.int  
www.iomdublin.org



უფასო კონფიდენციალური მომსახურება

ქართული



# ვის შეუძლია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია დახმარებას უწევს იმ თავშესაფრის მაძიებელ და განსაკუთრებით დაუცველ არალეგალურ მიგრანტებს, რომლებიც არ არიან ევროპის ეკონომიკური ზონის\* ქვეყნიებიდან და რომლებსაც სამშობლოში სამუდამოდ დაბრუნების სურვილი გააჩნიათ, მაგრამ არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობა და/ან მგზავრობისათვის აუცილებელი საბუთები. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია არ წარმოადგენს ირლანდიის მთავრობის ნაწილს.

## რა არის ამ პროგრამის სარგებელი?

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით თქვენ იმგზავრებთ ზუსტად ისე, როგორც ყველა სხვა მგზავრი. კონფიდენციალური იქნება ირლანდიაში თქვენი ყოფნისა და სამშობლოში დაბრუნების მიზეზი და ეს ინფორმაცია არ მიეწოდება არავის თქვენს ქვეყანაში. ირლანდიის დატოვებისას თქვენს პასპორტში არ ჩაირტყმება ბეჭედი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია თქვენი მგზავრობისა და საჭირო საბუთების მთლიან თანხას დაფარავს. ჩვენ დაგეხმარებით სამშობლოში დაბრუნებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ამის სურვილი გაქვთ.

## მოახდენს თუ არა გავლენას სამშობლოში ნებაყოფლობითი დაბრუნება მომავალში ირლანდიაში ლეგალურად შესვლაზე?

თუ სამშობლოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით ნებაყოფლობით დაბრუნდებით, მომავალში შეგეძლებათ განაცხადის გაკეთება ირლანდიაში სამუშაოდ, სასწავლებლად და ა.შ. შესაბამისი ვიზით ლეგალურად შესვლაზე.

## უნდა გადავიხადო თუ არა რაიმე თანხა?

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით დაბრუნების პროცესის არც ერთ ეტაპზე არანაირ გადასახადს არ აწესებს. ეს არის უფასო და კონფიდენციალური მომსახურება და თქვენ არ მოგიწევთ თანხის გადახდა.

\*ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებს მიეკუთვნება ევროკავშირში შემაჯავლი ყველა ქვეყანა და ასევე ნორვეგია და ისლანდია. შვეიცარიის მოქალაქეებს აგრეთვე არ გააჩნიათ ამ პროგრამაში მონაწილეობის უფლება.

# რა მოხდება სამშობლოში ჩემი დაბრუნებისას?

თუ თქვენ საჭიროებთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებას თქვენი ქვეყნის აეროპორტში, ჩვენ ამას უზრუნველვყოფთ უზრუნველვყოფთ. ზოგიერთ ქვეყანაში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას ოფისი არ გააჩნია; შესაბამისად, შეიძლება ვერ მოხერხდეს დახმარების გაწევა. თუ თქვენს სამშობლოში გესაჭიროებათ აეროპორტიდან სახლში გადაყვანა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მოგაწვდით ბილეთებს.

## რამდენი ხანი დასჭირდება ჩემი დაბრუნების ორგანიზებას?

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ყოველთვის ცდილობს დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები, ვინც სამშობლოში ბრუნდება და ეფექტურად და ორგანიზებულად უზრუნველყოს დახმარება. საშუალოდ 3 კვირიდან 2 თვემდე დრო არის საჭირო. ყოველი შემთხვევა განსხვავებულია. შესაბამისად საჭირო დრო დამოკიდებულია იმ სახის დახმარებაზე, რაც თითოეულ ადამიანს სჭირდება.

დამატებითი დახმარება სამშობლოში დაბრუნებისას – სარეინტეგრაციო დახმარება რეინტეგრაცია არის პროგრამის კომპონენტი, რაც ხელს გიწყობთ სამშობლოში დაბრუნებისას ხელახლა დაფუძნებაში. ეს დახმარება შეგიძლიათ გამოიყენოთ განათლების მისაღებად, პროფესიული გადამზადების, მცირე ბიზნესის წამოწყების მიზნით და ა.შ.. თქვენ შეგიძლიათ დახმარებაზე განაცხადის გაკეთება დუბლინში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც ჩვენ მოგაწვდით სრულ ინფორმაციას. ჩვენ ვითანამშრომლებთ თქვენს ქვეყანაში არსებულ ადგილობრივ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ან პარტნიორ ორგანიზაციასთან იმისათვის, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვუზრუნველყოთ თქვენი დახმარება.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, იხილოთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის ბროშურა ან დაუკავშირდეთ ჩვენს ოფისებს მითითებულ საკონტაქტო ნომრებსა და მისამართებზე.

# როგორ ხორციელდება ყოველივე ეს



მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მოგაწვდით უფასო კონფიდენციალურ ინფორმაციას. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, ელ-ფოსტით ან მობრძანდეთ ჩვენს ოფისში. ინფორმაციის მოთხოვნისას არ არის საჭირო ვინაობის გამხელა – შეგიძლიათ ეს ანონიმურად გააკეთოთ.



თუ გსურთ სამშობლოში დაბრუნება, რჩევისა და ინფორმაციის მიღების შემდეგ შეავსეთ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ნებაყოფლობითი დაბრუნების სააპლიკაციო ფორმა. სააპლიკაციო ფორმის მისაღებად:

- დარეკეთ 01 8787900
- ჩამოტვირთეთ სააპლიკაციო ფორმა ვებგვერდიდან: [www.iomdublin.org](http://www.iomdublin.org) <<http://www.iomdublin.org>>
- მობრძანდით ჩვენს ოფისში: დუბლინი 1, ჰილის ქ. #7 (7 Hill Street, Dublin 1).



თუ თქვენი სააპლიკაციო ფორმა დამტკიცდა\* და თქვენ არ გააჩნიათ საჭირო სამგზავრო დოკუმენტები, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია შეძლებისდაგვარად გაგიწევთ დახმარებას აუცილებელი სამგზავრო დოკუმენტების მიღებაში. ამის შემდეგ დაიჯავშნება თქვენი სამგზავრო ბილეთები.



ასევე შეგიძლია თქვენი სურვილის მიხედვით ორგანიზება გავუკეთოთ იმას, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი დაგხვდეთ სატრანზიტო ქვეყანაში და სამშობლოში დაბრუნებისას. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია უზრუნველყოთ მცირე გრანტით, რაც შინ დაბრუნებისას ხელახლა დაფუძნებაში შეგიწყობთ ხელს.

\*\*მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია თქვენს სააპლიკაციო ფორმას დასამტკიცებლად გადაუგზავნის იუსტიციის, თანასწორობისა და კანონის რეფორმების დეპარტამენტს. ეს მოხდება თქვენთან კონსულტაციის შემდეგ და მხოლოდ თქვენი თანხმობის შემთხვევაში.

## სამშობლოზე ფიქრობთ?

- სამგზავრო დოკუმენტებთან დაკავშირებით დახმარების გაწევა
- მგზავრობის საფასურის დაფარვა
- რეინტეგრაციაში ხელის შეწყობა

